



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 6
01/02/2017

6-06-4-201702011738



განკარგულება N6 2017 წელი, 1 თებერვალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.


მუხლი 2. კომისიამ გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების კონტროლს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსახლეობის ინტერესი. კომისიის სხდომებზე რეგულარულად მოისმინოს გამგეობის შესაბამისი სამსახურის ანგარიშები.

მუხლი3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო